

ლალი გულედანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიბლიური საწინასწარმეტყველო ნაწყვეტები - „ჰაფტაროთ/იუსჟი“

აბსტრაქტი

ქართველი ებრაელების ისრაელში მასიური „აღიისა“ (რეპატრიაციის) და ახალ ქვეყანაში მათი დამკვიდრების შემდეგ, რაც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან განხორციელდა, ისრაელში გამოიცა მრავალრიცხოვანი ქართულენოვანი პროდუქცია (პერიოდიკა, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, პუბლიცისტური და ჟანრობრივად განსხვავებული ხასიათის მასალა), რომელიც სამწლიანი კვლევითი სამეცნიერო პროექტის ფარგლებში დამუშავდა, შეიქმნა ბეჭდური პუბლიკაციების ანოტირებული ბიბლიოგრაფია, მოხდა მათი ჟანრობრივი დახარისხება და ლიტერატურულ-ენობრივი ანალიზი. იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ებრაელის ცხოვრება ყოველთვის და ყველგან რელიგიური წეს-ჩვეულებებით რეგულირდებოდა და ზოგადად, რელიგია მათი გადარჩენის და არსებობის საფუძველთა საფუძველია, შესასწავლ მასალაში კვლევისას რელიგიური ხასიათის ნაწარმოებების განხილვას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო.

მაღალი რელიგიური თვითშეგნების მქონე ქართველი ებრაელობა რეპატრიაციის შემდეგ რელიგიური ტრადიციების დაცვასთან ერთად აგრძელებდა რელიგიური წიგნებით დაინტერესებას და აქვეყნებდა ამ თემატიკის სხვადასხვა საკითხზე შექმნილ კრებულებს: საწინასწარმეტყველო ნაწყვეტებს, ინფორმაციას თორის ელემენტარულ საკითხებზე, ცნობებს ქართველ ებრაელთა თემში გამორჩეულ რაბინებსა და თალმიდ ხანებზე, ძირითად ლოცვებს ებრაულ ენაზე და ლოცვებისა და მიცვების თარგმანებს, ჰალახის წესებს ქართულ ენაზე (*הלכה* *בארץ*), სწავლებებს იუდაიზმის შესახებ თანამედროვე პირობებში, მის ატრიბუტიკასა და თეოლოგიაზე და, რაც მთავარია, ბიბლიის წიგნების ახალ თარგმანებს.

რელიგიური ხასიათის საკითხების დამუშავების სფეროში დიდი ღვაწლი მიუძღვის ფილოსოფიის მკვლევარსა და მთარგმნელს შალომ დავიდს, რომელმაც გამოაქვეყნა შრომები ებრაულ-კაბალისტურ ფილოსოფიაზე, კანონიკური ლოცვების, ბიბლიის წიგნებისა და კრებულ „ჰაფტაროთის“ თარგმანები ებრაულიდან ქართულად.

ებრაულ ლიტურგიაში „ჰაფტარა“ ძალიან დიდი მნიშვნელობის რიტუალია. მისი მნიშვნელობის ხაზგასასმელად სტატიაში ჯერ ზოგადად არის განხილული ამ რელიგიური რიტუალის რაობა, დანიშნულება, ისტორია, წასაკითხი მასალის თორასთან მიმართება, წაკითხვის წესები და ამ თემასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, ხოლო შემდეგ ის, თუ როგორ არის ასახული ეს მნიშვნელოვანი რიტუალი ქართველ ებრაელებთან. დიდი რელიგიური პრაქტიკისა და დატვირთვის მიუხედავად, ბევრ ებრაულ თემს არ გააჩნია „ჰაფტაროთის“

თარგმანი, თუმცა ისრაელის ქართულენოვანი რელიგიური მიმართულების გამოცემებს შორის გამორჩეულია და საპატიო ადგილი უკავია შალომ დავიდის ამ კრებულს.

წინამდებარე სტატიაში შესწავლილი და დახასიათებულია „ჰაფტაროთის“ ქართული ვერსია და აღნიშნულია მისი მნიშვნელობა და დიდი როლი ქართველ ებრაელთა რელიგიურ ცხოვრებაში.

საკვანძო სიტყვები: რელიგიური, „ჰაფტაროთ“, საწინასწარმეტყველო ნაწყვეტები, ქართული ვერსია.

„ჰაფტარა“ (ებრ. חֲפָתָרָה) მომდინარეობს ებრაული სიტყვიდან, რაც ნიშნავს „დასრულებას“ ან „დაშორებას“. იგი არის საწინასწარმეტყველო ნაწყვეტი, რომელიც იკითხება თორას წაკითხვის შემდეგ შაბათობით, დღესასწაულებსა და მარხვის დღეებში. შაბათობით და დღესასწაულებზე ის იკითხება დილის წირვის დროს, მარხვის დღეებში კი მხოლოდ სადამოს ლოცვაზე. გამონაკლისია იომ ქიფურის (მიტევების, გამოსყიდვის) დღე და ავ-ის მეცხრე დღე (პირველი და მეორე ტაძრის დანგრევისა და ებრაელების ისტორიის სხვა ტრაგიკული მოვლენების დღე), როდესაც თორის წაკითხვის შემდეგ „ჰაფტარა“ იკითხება როგორც დილის, ასევე შუადღის წირვის დროს. თორის კითხვის ციკლი იწყება დაბადებიდან მეორე რჯულის ჩათვლით და მოიცავს მოსეს ხუთ წიგნს, „ჰაფტარას“ ციკლში მხოლოდ წინასწარმეტყველთა შერჩეული მონაკვეთები ხვდება. „ჰაფტარას“ მოწყვება ოთხი კურთხევა (ბერახოთ). მათი მოწოდება წინასწარმეტყველების შესრულებისა და ღვთის მიერ ებრაელი ხალხის სიონში დაბრუნების შესახებ წარმოადგენს დღის წმინდა წერილების სრული ნაკრების - თორასა და „ჰაფტარას“ - დასასრულს. სიტყვა „ჰაფტარა“ მიუთითებს, რომ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ სინაგოგაში მყოფნი თავისუფლები არიან. თუმცა, თანაისტურ ეპოქაში (ჩვ. წ. 1-2 ს.) დადგენილ იქნა, რომ „ჰაფტარას“ მკითხველი ჯერ ყოველკვირეული თორის ნაწილის ბოლო მუხლებს წაიკითხავდა, რათა თორა წინასწარმეტყველთა წიგნებზე მაღლა აეყვანა. დღესასწაულებზე ან მარხვაზე წაკითხული ყოველკვირეული ნაწილის ბოლო სამი ან მეტი მუხლი მაფტირია, ხოლო ის ვინც ამ ნაწილს საჯაროდ კითხულობს იმავე სახელით მოიხსენიებენ.¹

„ჰაფტარას“ უნივერსალურობისა და სიძველის მიუხედავად, მისი წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ ინფორმაცია მწირია, არ შემორჩენილა ამ ტრადიციის დამფუძნებელთა სახელები, შემოღებული რიტუალების თარიღები. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები დიდი ხანია ცდილობენ ამ პრაქტიკის ახსნას, არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ გადაწყვიტა, მღვდელმთავრის მიერ თორის გარკვეული თემის (ებრაულად: ფარამათ ჰა-შავუა)² წაკითხვის შემდეგ

¹ Краткая Еврейская Энциклопедия (КЕЭ). Главные редакторы: Ицхак Орен (Надель), Нафтали Прат, Главный научный консультант проф. Михаэл Занд, том. 9; (Иерусалим: Еврейский Университет в Иерусалиме, 1999), 724-726.

² ფარამათ ჰა-შავუა (פֶּרַשְׁתַּיִת חֲפָתָרָה, სიტყვასიტყვით „კვირეული თავი“, „კვირის ნაწილი“), ხუთწიგნეულის (თორას) ნაწყვეტი, რომელიც ყოველ შაბათს სინაგოგის ლიტურგიის დროს იკითხება.

წინასწარმეტყველთა წიგნებიდან რომელი ნაწილი უნდა წაკითხულიყო ან როდის დადგინდა დღემდე მოღწეული და მოქმედი გრაფიკი. ასევე, არ არსებობს ადრინდელი ჩანაწერები წინასწარმეტყველთა წიგნებიდან კონკრეტული მუხლების კონკრეტულ ფარამასთან დაწყვილების მიზეზების შესახებ, თუმცა საყოველთაოდ გავრცელებულია ის ისტორიული ფაქტი, რომელმაც „ჰაფტარას“ კითხვის ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი: ძვ. წ. 168 წელს, როდესაც ებრაელები სელევკიდების მეფე ანტიოქე IV ეპიფანეს მმართველობის ქვეშ იყვნენ, აკრძალათ თორას კითხვა. დადგენილება შემოიფარგლებოდა მოსეს ხუთი წიგნით, ამიტომ ებრაელმა ბრძენებმა დააწესეს წინასწარმეტყველთა ნაწილების წაკითხვა და დაიწყეს თორის ნაცვლად წინასწარმეტყველთა წიგნიდან შესაბამისი მონაკვეთების კითხვა, რათა თორა არ დაეწყებულებოდა. მას შემდეგ წინასწარმეტყველთა თანმხლები საკითხავის - „ჰაფტარას“ კითხვა საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდა, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებზე გამარჯვების შემდეგ, მალევე აღარ არსებობდა მისი კითხვის აუცილებლობა, ვინაიდან თორის კითხვის აკრძალვა მცირე ხანს გაგრძელდა.³ აკრძალვების დასრულებისა და საჯაროდ თორის წაკითხვის აღდგენის შემდეგაც „ჰაფტარას“ კითხვის ტრადიცია დღემდე შენარჩუნდა. ეს ისტორიული ფაქტი საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება და მას ებრაელ ბრძენთა და მკვლევართა უმეტესობა იზიარებს, თუმცა არსებობს ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებებიც: ზოგიერთი წყაროს თანახმად, „ჰაფტარას“ წაკითხვის გადაწყვეტილება ეზრამ მიიღო მეორე ტაძრის აღრეულ პერიოდში.⁴ ეზრას თორასა და წინასწარმეტყველთა ერთიანობის ხაზგასმა სურდა და ამიტომ თორის ნაწილს სხვადასხვა წინასწარმეტყველური ტექსტი დაურთო. კიდევ ერთი მოსაზრებაა, რომ ის დაწესდა დევნის ან სხვა კატასტროფის შემდეგ. იმის გამო, რომ თორას ნაწილების წაკითხვა ნებადართული იყო მხოლოდ რიტუალურად შესაფერისი პერგამენტის გრაგნილებიდან და არა ნებისმიერიდან, სინაგოგების თორას გრაგნილების გარკვეული ნაწილი ნადგურდებოდა. ასეთი მოთხოვნა არ არსებობდა წინასწარმეტყველთა წიგნების საკითხავების მიმართ, რამაც შესაძლოა განაპირობა მსგავსი ჩანაცვლება.⁵

ასევე, ერთ-ერთი ადრეული ახსნის მიხედვით, თავდაპირველად ებრაელები ყოველდღე დილის ლოცვის შემდეგ სინაგოგაში რჩებოდნენ და თორის სხვადასხვა ნაწილს სწავლობდნენ, მათ შორის წინასწარმეტყველთა წიგნებიდანაც. ფინანსურად რთულ პერიოდში, როდესაც აღარ ჰქონდათ სინაგოგაში დამატებითი დროის გატარების ფუფუნება, ისინი სამუშაო დღეებში წირვის ბოლოს ლოცვაში წინასწარმეტყველთა რამდენიმე მუხლის წარმოთქმით შემოიფარგლებოდნენ, მაგრამ შაბათს წინასწარმეტყველთა უფრო გრძელი ნაწილის წაკითხვის ჩვეულებას მაინც ინარჩუნებდნენ. დახლოებით იგივე მოსაზრებაა გამოთქმული რაშის სკოლის კანონებისა და პასუხების მნიშვნელოვან კრებულში „სეფერ ჰაპარდესში“, სადაც აღნიშნულია, რომ შაბათსა და იომ ტოვზე (დღესასწაულებზე) ჰაფტარას კითხვა ძველი, მიტოვებული პრაქტიკის რელიკვიაა. ადრე, სამუშაო დღეებში დილის მსახურების დასრულების შემდეგ, დრო გამოყოფილი იყო მიკრას

³ КЕЭ, стр.724

⁴ https://www.torah-box.net/jewish-ethics-and-learning/torah-learning/the-haftara-who-when-how_1189.html

⁵ Matthew B.Schwartz, Torah Reading in the Ancient Synagogue, (Ph.D. diss., Michigan: Wayne University, 1975), 181

(თანახის), მიშნასა (ბიბლიის კომენტარები) და გემარას (თალმუდის შემადგენელი ნაწილი) შესასწავლად. ასევე იკითხებოდა წინასწარმეტყველთა ნაწილები. მოგვიანებით, როდესაც ადამიანებს აიძულებდნენ, მეტი დრო დაეთმოთ საარსებო წყაროს მოპოვებისთვის, ეს პრაქტიკა მიტოვებული იყო.⁶ სხვა მოსაზრებით, „ჰაფტარას“ კითხვა გარკვეული სექტების გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად დაწესდა.⁷

არსებობს მოსაზრება, რომ „ჰაფტარას“ ტრადიცია წარმოიშვა ძველ ისრაელში კონკურენტ რელიგიურ ჯგუფებს - ებრაელებსა და სამარიელებს შორის, ხოლო მოგვიანებით სელუკველებთან, მწვავე პოლემიკის შედეგად.⁸ ეს შეხედულება ებრაული ლიტურგიის მკვლევართა შორის ფართოდ არის მიღებული, თუმცა ჰყავს მოწინააღმდეგეებიც. სამარიელების ეთნიკური ჯგუფი ებრაელებს რიცხოვნობით, ძალაუფლებითა და გავლენით ეჯიბრებოდა. ცნობილია, რომ სამარიელების თორის ვერსია გარკვეულწილად განსხვავდება ტრადიციული ებრაული თორისგან. ისინი უარყოფდნენ მოსეს შემდეგ ყველა წინასწარმეტყველს, რამაც, შესაძლოა, სინაგოგებში წინასწარმეტყველთა კითხვის პრაქტიკის საფუძველი შექმნა. წინასწარმეტყველური წიგნების ავტორიტეტულ წყაროდ აღიარების შემდეგ და მათი ღვთიური წარმოშობის გამოცხადებით ებრაელები, შესაძლოა, ცდილობდნენ სამარიელების ადგილობრივი თემებიდან გამორიცხვას და სამარიელთა თეოლოგიის მთავარი პრინციპის წინააღმდეგ გამოსვლას.

„ჰაფტარას“ მნიშვნელობის შესახებ პროფესორი მაიკლ ფიშბეინი თავისი ჰაფტაროთის კომენტარების ტომის შესავალში აღნიშნავს, რომ ის გახდა წმინდა წერილის საჯაროდ წაკითხვის სამი კომპონენტიდან ერთ-ერთი უძველესი სინაგოგაში. ეს საჯარო კითხვა ასახავდა სამ ავტორიტეტულ წყაროს: თორა, რომელიც კანონის საბოლოო წყაროა; ჰაფტარა, რომელიც წარმოადგენს წინასწარმეტყველთა სიტყვებს და უზრუნველყოფს მორალურ მითითებებსა და თორის შინაარსის განმარტებას; და ქადაგება, რომელიც ინტერპრეტაციისა და კანონმდებლობის მისაღებად რაბინების ავტორიტეტს ეყრდნობოდა.⁹ პროფესორ ფიშბეინის ეს მოსაზრება იმ ფონზე, რომ ებრაელი სწავლულები საუკუნეების მანძილზე „ჰაფტაროთის“ ხანგრძლივად არსებობის გამო შიშობდნენ, რომ მისი მნიშვნელობა შესაძლოა თორასას გათანაბრებოდა, ბევრი სწავლულისთვის მიუღებელია და მას არ იზიარებენ.

ისტორიული წანამძღვრის გათვალისწინებით, ლოგიკურია აღინიშნოს, რომ „ჰაფტარას“ კითხულობდნენ მიშნას ხანაში (დაახლ. ახ. წ. I საუკუნე), რაც განხილულია თალმუდშიც. მიშნაში გვხვდება დისკუსიები წასაკითხი სექციების

⁶ <https://jewishaction.com/religion/shabbat-holidays/haftarah-familiar-practices-unfamiliar-reasons/>

⁷ Rabbi Baruch S. Davidson, When and Why We Started Reading the Haftarah?
https://www.chabad.org/library/article_cdo/aid/593314/jewish/When-and-Why-We-Started-Reading-the-

⁸ Rabinowitz, Louis, haftarah, Michael Berenbaum, Fred Skolnik, (eds.), Encyclopaedia Judaica, Vol. 8 (2nd ed.), (Detroit: Macmillan Reference, 2007), 198-200. ISBN 978-0-02-8660097-4.
[https://www.jevzajcg.me/enciklopedia/Encyclopaedia%20Judaica,%20v.%2008%20\(Gos-Hep\).pdf](https://www.jevzajcg.me/enciklopedia/Encyclopaedia%20Judaica,%20v.%2008%20(Gos-Hep).pdf)

⁹ Michael Fishbein, Bible Commentary: Haftarah, (Philadelphia: Jewish Publication Society, 2002 ISBN 0-8276-0691-5 <https://www.myjewishlearning.com/article/haftarah/>

შესახებ, ამიტომ ეს ჩვეულება, სულ მცირე, ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნით უნდა დათარიღდეს.¹⁰

„ჰაფტარას“ კვლევის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თორის შერჩეული თემისა (ებრ. „ფარაშათ ჰა-შავუა“) და შესაბამისი საწინასწარმეტყველო მონაკვეთების დაწყვილების საფუძვლის დადგენა. ამჟამად ხუთწიგნეული დაყოფილია 54 ნაწილად, რომლებიც იკითხება შაბათის სინაგოგის ლიტურგიის დროს (ზოგჯერ ერთ შაბათს ორი ნაწილი იკითხება, რათა ყოველწლიურ ციკლში მოთავსდეს). დღესასწაულებზე იკითხება როგორც შესაბამისი დღესასწაულისთვის მიძღვნილი თორის სპეციალური ნაწილები, ასევე რიცხვთა წიგნიდან (28:16–29:39) სპეციალური ნაწილი სხვადასხვა გრაგნილის მიხედვით. დღესასწაულთან დამთხვეულ შაბათზე ჩვეულებრივი „ფარაშათ ჰა-შავუა“ არ იკითხება. ზოგადად, თითოეული მათგანი შვიდ ნაწილად იყოფა, მაგრამ სხვადასხვა თემში ეს დაყოფა ერთნაირი არ არის. ზოგიერთ შაბათზე ამქენაზები და სეფარდები სხვადასხვა „ჰაფტაროთს“ კითხულობენ, ზოგჯერ კი ისრაელსა და დიასპორის ქვეყნებში წაკითხული ფარაშათები განსხვავებულია, რადგან დიასპორაში დღესასწაულებს დამატებითი დღე ემატება. თორას სინაგოგაში კითხვის ყოველწლიური ციკლი მთავრდება სუქოთის ანუ კარვების დღესასწაულის ბოლო დღეს - სიმხათ თორის დღესასწაულზე: ხოლო ახალი ციკლი იწყება ამ დღესასწაულის შემდეგ შაბათს.

როგორც აღინიშნა, თორის საჯაროდ წაკითხვის ჩვეულება უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მეორე რჯული (31:10–13) ითვალისწინებს „ამ კანონის“ წაკითხვას „მთელი ისრაელის წინაშე ხმამაღლა“ სუქოთის დღესასწაულზე შვიდ წელიწადში ერთხელ. თორის საჯაროდ კითხვა ნეემიას წიგნშია ნახსენები (8:1–8),¹¹ სადაც მოხსენებულია, რომ ეზრამ მეშვიდე თვის პირველ დღეს წაუკითხა თორა მთელ ხალხს, კაცებსა და ქალებს; კითხვა დილიდან შუადღემდე გაგრძელდა. შაბათობით სინაგოგებში თორას რეგულარული კითხვა, როგორც ჩანს, ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, რადგან სეპტუაგინტა აშკარად სპეციალურად ამ მიზნით იყო შედგენილი. იოსებ ფლავიუსი (აპიონი 2:175) და ფილონ ალექსანდრიელი თორას საჯაროდ კითხვას უძველეს ჩვეულებად მოიხსენიებენ, რასაც ახალი აღთქმის დამოწმებაც ადასტურებს: „რადგან მოსეს რჯულს უძველესი დროიდან ქადაგებენ ყველა ქალაქში და ყოველ შაბათს კითხულობენ სინაგოგებში“ (მოციქულთა საქმეები 15:21). სავარაუდოდ, თორას თავდაპირველი კითხვა დიდაქტიკური იყო და არა ლიტურგიკული, როგორც ეს მოგვიანებით გახდა.¹²

ვარაუდობენ, რომ ჰაფტარას პასაჟები თავდაპირველად თვითნებურად შეირჩეოდა ხოლმე და არჩევანი ტრადიციით წინასწარ არ იყო განსაზღვრული. შესაძლოა თავდაპირველად შემთხვევით იხსნებოდა ერთ-ერთი წინასწარ-მეტყველური წიგნის გრაგნილი, რათა წაკითხულიყო ის, რაც აღმოაჩინეს. ასე ჩანს

¹⁰https://www.chabad.org/library/article_cdo/aid/6430377/jewish/What-Is-the-Haftarah.htm#:~:text=By%20Mendel%20Adelman,How%20is%20the%20Haftarah%20Read

¹¹ ზურაბ კიკნაძე, ბიბლიის შესავალი, სალექციო კურსი, (თბილისი:2005),11.

¹² Краткая Еврейская Энциклопедия (КЕЭ). Главные редакторы: Ицхак Орен (Надель), Нафтали Прат, консультанты проф. Хаим Вуйнарт, проф. Михаэл Занд, том. 6; (Иерусалим: Еврейский Университет в Иерусалиме, 1992), 323-326.

ლუკას სახარების (4:16 და შემდგომი) ისტორიიდან, რომელშიც იესოს შაბათს ნაზარეთის სინაგოგაში სტუმრობისას ესაიას გრაგნილი გადაეცა, რათა გაეხსნა და წაეკითხა. როგორც ჩანს, იესო ამ ეპიზოდში „ჰაფტარას“ კითხულობდა. მან წიგნი გახსნა, იპოვა წასაკითხი მონაკვეთი (ესაია 61:1–2). თუმცა, სამწუხაროდ, იქ გამოყენებული ბერძნული სიტყვა, რომელიც ნიშნავს „ნაპოვნი“, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, დამაჯერებლად ვერ ცხადყოფს, წაკითხული მონაკვეთი წინასწარ იყო განსაზღვრული თუ შემთხვევით შეირჩა. ამ შემთხვევაში არ იყო მითითებული მონაკვეთი, საიდანაც კითხვა უნდა დაწყებულიყო და არც ის, სად უნდა დასრულებულიყო.¹³ ეს ეპიზოდი „ჰაფტაროთების“ თავდაპირველად შემთხვევით შერჩევის მოსაზრების სასარგებლო მტკიცებულებად არის მიჩნეული.

მოგვიანებით განვითარდა ტრადიციები, რომლებიც თორას ყოველკვირეულ ნაწილთან ერთად კონკრეტული პასაჟის წაკითხვას გულისხმობდა. „ჰაფტარა“, როგორც წესი, თორის კითხვის თემასთან ან ჟანრთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ბაბილონური თალმუდი (მეგილა 29ბ) ვარაუდობს, რომ „ჰაფტარა“ უნდა შეესაბამებოდეს დღის თორის თემას რაღაც თვალსაზრისით მაინც.¹⁴ მაგალითად, ფარაშათ ბერეშითის (დაბადება) კვირაში ვკითხულობთ „ჰაფტარას“, რომელიც სამყაროს შექმნას ეხება. ფარაშათ ნოეს კვირაში ვკითხულობთ „ჰაფტარას“, რომელიც ნოეს და წარღვნის ეპიზოდს გადმოგვცემს და ა.შ. ასევე, იმ კვირაში, როდესაც თორის კითხვისას ისრაელელები გამოსვლის დროს ზღვის გაყოფის მომსწრენი არიან (გამოსვლა 15), „ჰაფტარა“ მოიცავს დებორას სიმღერას, რომელიც დებორასა და მისი მეთაურის, ბარაკის სამხედრო გამარჯვების საპასუხოდ შესრულდა (მსაჯულნი 5). როდესაც თორის კითხვისას მოსე ქანაანის დასაზვერად გაგზავნილი 12 მზვერავის ისტორიას მოგვითხრობს, „ჰაფტარა“ (იესო ნავეს ძის მე-2 თავიდან) ყურადღებას ამახვილებს ორ მზვერავზე, რომლებიც იესო ნავეს ძის მიერ იერიხონში გაიგზავნა ლაშქრობამდე ქალაქის დასაპყრობად.

დღესასწაულების შემთხვევაში „ჰაფტარა“ მჭიდროდ არის დაკავშირებული დღესასწაულის აღნიშვნის ძირითად თემასთან. ამგვარად, ღვთის მიერ ცოდვების მიტევების მზადყოფნის თემა საფუძვლად უდევს იონას არჩევას იომ ქიფურის (მიტევების, გამოსყიდვის დღესასწაული) შუადღისთვის, ხოლო ზაქარიას მიერ მოთხრობილი სუქოთის (კარვების დღესასწაული) აღნიშვნა ამ დღესასწაულის პირველი დღის „ჰაფტარას“ როლს ასრულებს.¹⁵

თორის კითხვასა და „ჰაფტარას“ შორის კავშირის აღმოჩენა ებრაული ლიტურგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა, ასეთი კავშირები ამ ორ აქტივობას შორის ყოველთვის არ დგინდება. საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ სწავლულები ამ კავშირების დადგენას. თანამედროვე მკვლევრებს შორის ეს საკითხი დეტალურად განიხილა რიჩარდ ვ. გოლდენმა, რომელმაც გამოაქვეყნა წიგნი „ჰაფტარა და მისი ფარაშა“. რელიგიური მეცნიერების ამ ნაშრომში გოლდენი იკვლევს ბიბლიური პასაჟების ებრაულ რელიგიურ პრაქტიკაში შეხამების გზებს.¹⁶ საკითხის ღრმა შესწავლის შემდეგ გოლდენმა დაასკვნა, რომ თავად „ფარაშასა“ და „ჰაფტარას“ მუხლები იძლევა თითოეული დაწყვილების მიზეზის საუკეთესო

¹³ Rabinowitz, Louis, haftarah, pp.199; Matthew B.Schwartz, pp.184

¹⁴ КЕЭ, т. 6, стр. 324

¹⁵ <https://www.myjewishlearning.com/article/haftarah/>

¹⁶ Richard W.Golden, Haftara and his Parsha, (Jonah Press: New-York, 2022).

ახსნას და გვთავაზობს თავის შეხედულებას მათ შორის კავშირზე, თითოეულ „ჰაფტარას“ და მის „ფარაშას“ შორის ურთიერთობის იდენტიფიცირების გარდა, გოლდენი იკვლევს, თუ როგორ რჩება კავშირები აქტუალური დღესაც.¹⁷

ხშირად ასეთი კავშირები არ იძებნება. ზოგიერთი „ჰაფტარა“ ებრაული კალენდრის კონკრეტულ პერიოდებს შეესაბამება, მაგალითად, ბეით ჰამიკდაშის (წმინდა ტაძრის) განადგურებასთან და სხვა ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებული სამკვირიანი გლოვის პერიოდში, რომელიც თამუზის 17-სა და ავ-ის 9-ს (ივლის-აგვისტოს) შორის ემთხვევა. შაბათის დღის „ჰაფტარას“ არანაირი კავშირი არ აქვს იმ დღის თორის კითხვასთან, არამედ ის არის „ჰაფტარა“, რომელიც ებრაული კალენდრის შესაბამის მოვლენებს ეხება. მაგალითად, ფურიმის დღესასწაულის წინა შაბათს, როდესაც თორის კითხვა ამაღლეკის განადგურების შესახებ დამატებითი მონაცკეთით მთავრდება, „ჰაფტარა“ მოგვითხრობს სამუელის მიერ გადარჩენილი ამაღლეკის მეფის ისტორიას. ამ „ჰაფტარას“ პირველი სიტყვა, „ზქორ“ („გახსოვდეთ“), ამ დღის საკითხავს სახელს აძლევს: შაბათ ზქორი. ასეა სხვა შემთხვევებშიც. რომ ჰაშანასა და იომ ქიფურს (ახალი წლისა და გამოსყიდვის დღის დღესასწაულები) შორის შაბათის „ჰაფტარა“, რომლის პირველი სიტყვა „შუვა“ დაბრუნებას ნიშნავს და იგულისხმება ღმერთთან დაბრუნება ანუ მონანიება, შაბათის „ჰაფტარას“ „შუვას“ სახელს აძლევს, მონანიებისკენ მოუწოდებს, რომელიც შეესაბამება 10-დღიან პერიოდს, როცა ღმერთი განსაკუთრებული სიმკაცრით აკვირდება და განსჯის, სასწორზე დებს ყოველი ებრაელის ქცევასა და ბედ-იღბალს. თიშა ბ'ავამდე (ტაძრის დანგრევისა და დიდი უბედურებების თარიღი) სამი შაბათის „ჰაფტარა“ მოახლოებული უბედურებისა და კატასტროფის შესახებ გაფრთხილებაა, რაც შეესაბამება ტაძრის დანგრევის წლისთავის აღნიშვნას. მომდევნო შვიდი შაბათის განმავლობაში „ჰაფტარა“ ნუგემს და გამხმევებს გვთავაზობს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ებრაული თემი არ იზიარებს „ჰაფტარას“ ერთნაირ არჩევანს თითოეული შაბათის ან დღესასწაულისთვის. ძირითადად ებრაული ეთნიკური ჯგუფების წეს-ჩვეულებები ერთმანეთისგან განსხვავდება და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფშიც კი (აშქენაზები, სეფარდები, იემენელები და ა.შ.) ადგილობრივი ვარიაციები დასტურდება.¹⁸

ხუთწიგნულიდან შაბათის კითხვისგან განსხვავებით, რომელიც შედგება მოსეს ხუთი წიგნის თანმიმდევრული ნაწილების უწყვეტი კითხვისგან ყოველგვარი გამოტოვების გარეშე, „ჰაფტარა“ არის ნაწილი წინა ან გვიანდელი წინასწარმეტყველების წიგნიდან. მხოლოდ ორი წინასწარმეტყველური წიგნი იკითხება სრულად, როგორც ჰაფტაროთი: აბდიას წიგნი, რომელიც მხოლოდ 21 მუხლისგან შედგება და იონას წიგნი, რომელიც წარმოადგენს გამოსყიდვის დღის მინხას (დღის ლოცვის) მსახურების ჰაფტარას.¹⁹

განხილული ნიმუშების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ კონკრეტული ჰაფტარას შერჩევას ორი კრიტერიუმი განსაზღვრავდა: არჩევანი კეთდებოდა წინასწარმეტყველური ნაწილის შინაარსის მსგავსებით ხუთწიგნულის

¹⁷ <https://haftarahparsha.com/2023/02/ancient-connections-the-link-between-parshot-and-haphtarot/>

¹⁸ <https://www.myjewishlearning.com/article/haftarah/>

¹⁹ KE9, ტ. 9, სტ. 724

<https://eleven.co.il/judaism/liturgy-prayer/11081/>

წაკითხული ნაწილის შინაარსთან. თუმცა, ჰაფტაროთის დაახლოებით ერთი მესამედის შემთხვევაში, ეს კრიტერიუმი არ მოქმედებს და ამ შაბათების არჩევანი განისაზღვრება ან კალენდრით, ან ისტორიული გარემოებებით.

ცალკე განიხილება ოთხი განსაკუთრებული შაბათი: შაბათი, რომელიც რომ ხოდეშის (თვის დასაწყისის) წინა დღეს ემთხვევა, პასექის დღესასწაულის წინა შაბათს, მონანიების ათდღიანი მონაკვეთის შაბათს და ხანუქას დღესასწაულის შაბათს, როცა ამ ოთხი გამორჩეული შაბათისთვის იკითხება განსაკუთრებული „ჰაფტარა“ და არჩევანი დამოკიდებულია ამ დღეებში წაკითხულ დამატებით სპეციალურ მონაკვეთზე და არა ჩვეულებრივ შაბათისაზე. დღესასწაულებსა და მარხვის დღეებში „ჰაფტარა“, ისევე როგორც თორას კითხვა, შედგება დღესასწაულის შესაბამისი მონაკვეთისგან. მარხვის დღეებში (გამოსყიდვის დღის გარდა) მინხასთვის (დილის ლოცვა) განკუთვნილია ყოველთვის ესაიას 55:6–56:7.²⁰

მიშნაში დადგენილია თორის საკითხავთან დაკავშირებით შემდეგი თანმიმდევრობა: სამი ადამიანი კითხულობს შაბათის ბოლოს, ორშაბათს და ხუთშაბათს, ოთხი - დღესასწაულების შუალედურ დღეებში და ახალმთვარეობაზე, ხუთი - დღესასწაულებზე, ექვსი - იომ ქიფურზე და შვიდი - შაბათს დილის ლიტურგიის დროს (მეგ. 4:1–2).²¹ თალმუდურ ლიტერატურაში „ჰაფტარას“ კონკრეტული შერჩევის შესახებ ყველაზე ადრეული მითითება მოცემულია თოსეფთაში (თალმუდის დამატება), [მეგილა, 4 (3): 1], სადაც „ჰაფტარა“ მოცემულია ოთხი განსაკუთრებული შაბათისთვის.²² მოგვიანებით ბაბილონელმა ამორაიმებმა დაამატეს „ჰაფტარა“ დღესასწაულების მეორე დღეებს. ჰაფტარა მეორე დღისთვისაც ძირითადად დიასპორისთვის არის გამოიზნული, რომელიც ისრაელში არ აღინიშნება და ამიტომ არც იკითხება. ასეთი დამატებები ზოგჯერ ცვლის ჰაფტაროთების ზოგად თანმიმდევრობას. საერთოდ, „ჰაფტარას“ მყარად დადგენილი სიები არ არსებობდა. ჯერ კიდევ მიშნის ხანაში „ჰაფტარას“ არჩევანი ზოგადად არ იყო განსაზღვრული და უფრო მოგვიანებითაც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა წინასწარმეტყველური ნაწილის კითხვა იყო მიღებული და დღემდე არსებობს არჩევანის გარკვეული ვარიაციები სხვადასხვა ებრაულ თემსა და ეთნიკურ განმტოებებში.

„ჰაფტარას“ წაკითხვას წინ უძღვის და მოსდევს კურთხევები: ორი მათგანი აღიდება წინასწარმეტყველთა ნათქვამის ჭეშმარიტებას, დანარჩენი ორი კი გამოხატავს მესიანურ მოლოდინს. „ჰაფტარას“ კითხვას, თორის კითხვის მსგავსად, აქვს საკუთარი ტრადიციული გალობა და იკითხება კანტილაციის ნიშნების მიხედვით. ისევე, როგორც თორის ტრადიციულად გალობა და არა მხოლოდ წაკითხვა, „ჰაფტაროთს“ მღერიან ბიბლიური წიგნების ტრადიციული ნოტაციის სისტემის მიხედვით. „ჰაფტარა“, თორის კითხვისგან განსხვავებით, გალობაში ცალკე ტროპით მინორ ტონალობაშია, რაც უფრო სევდიან, ნიუანსირებულ მელოდიას იძლევა. ზოგადად, მიუხედავად იმისა, რომ თორა იგალობებოდა მაჟორულ ტონალობაში, მთავრდებოდა მინორულ ტონალობაში, „ჰაფტარა“ იგალობება მინორულ ტონალობაში, ისევე როგორც „ჰაფტარას“ წაკითხვამდე კურთხევა.

²⁰ <https://www.jewishvirtuallibrary.org/haftarah>

²¹ <https://eleven.co.il/judaism/liturgy-prayer/13147/>

²² KE9, т. 9, стр.725

პირველი კურთხევა, რომელიც „ჰაფტარას“ ნაწილის წაკითხვამდე იგალობება, იყენებს იმავე მელოდიას, რასაც თავად „ჰაფტარას“ გალობა, ასევე მცირე ტონებში. სწორედ ამიტომ ბევრი ლოცვის წიგნი ამ პირველ კურთხევას ბეჭდავს ბიბლიაში წინასწარმეტყველთა წიგნებისთვის გამოყენებული კანტილაციის ნიშნებით, რაც შესაძლოა ერთადერთი შემთხვევა იყოს არაბიბლიური ტექსტისა, რომელიც აღჭურვილია ასეთი ნიშნებით.²³

როგორ ასახვას პოვნებს ებრაელებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი რიტუალი ქართველ ებრაელებთან?

რა თქმა უნდა, სალოცავებში პრაქტიკული გამოყენება მათთან, ისევე როგორც მსოფლიო ებრაელობასთან, საუკუნეებს ითვლის და სასულიერო მსახურების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, თუმცა თეორიული მტკიცებულება წიგნის სახით მხოლოდ ისრაელში ასვლის (რეპატრიაციის) შემდეგ გამოიცა ებრაული ფილოსოფიის მკვლევრისა და მთარგმნელის შალომ დავიდის მიერ, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი ღვაწლი მიუძღვის რელიგიური ხასიათის საკითხების დამუშავებაში.

სტატიის წინა ნაწილიდან გამომდინარე, ნათელი გახდა, რომ წინასწარმეტყველთა წიგნიდან „ჰაფტარას“ სახელით წასაკითხი ნაწილის არჩევა ყველა ებრაულ თემში განსხვავებულია. ეს სია მოიცავს „ჰაფტარას“ ნაწილებს სხვადასხვა თემისა და განშტოებების მიერ (სეფარდული, აშქენაზური, მიზრაზული) მიღებული ჩვეულებების გათვალისწინებით და აგებულია ტექსტების კითხვის განსხვავებული წესების მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული „ფარაშათ ჰა-შავუა“ (ყოველკვირეული საკითხავი) სხვადასხვა თემში ერთნაირი არ არის და შესაბამისად „ჰაფტაროთებიც“ განსხვავებულია, შალომ დავითის მიერ ნათარგმნი და შედგენილი „ჰაფტაროთის“ კრებული მრავალმხრივი თემატიკისა და დანიშნულებისაა, მორგებულია ქართული ებრაული თემის მოთხოვნებს და თითქმის ყველა ძირითად თემას მოიცავს. „ჰაფტაროთები“ წარმოდგენილია სხვადასხვა ებრაული ეთნიკური განშტოების ვარიაციებით და მითითებულია, რომელი მათგანის წეს-ჩვეულებებს ითვალისწინებს: აშქენაზურს, სეფარდულს, მიზრაზულს თუ რომელიმე სხვას. კრებულში „ფარაშათ ჰა-შავუასა“ და „ჰაფტაროთის“ ურთიერთმიმართება საინტერესო სურათს ქმნის. მოცემული წინასწარმეტყველური პასაჟებით განიმარტება თორის საკითხავები. თორა, თავის მხრივ, გარდა რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრების წესებისა, ღმერთისა და მისი ნების შეცნობის შესაძლებლობას იძლევა, რაც წინასწარმეტყველური ლიტერატურის საფუძველს წარმოადგენს. წინასწარმეტყველური მოძღვრება კი რწმენის, ღვთაებრიობისა და ადამიანური არსის ახლებური გააზრების შესაძლებლობაა, ამიტომ ყოველკვირეულ თორის ნაწილსა და მის თანმხლებ „ჰაფტარას“ შორის კავშირის შესწავლით ნათელი ხდება მათი დაწყვილების მიზეზშედეგობრივი საფუძველი. როგორც ითქვა, წაკითხვას თავისი დადგენილი წესები ახლავს. ამ საკითხთან დაკავშირებით შალომ დავიდი აღნიშნავს შემდეგს:

²³ Macy Nulman, The Liturgical and Musical Development and Significance of the Haftarah, Journal of Jewish Music & Liturgy, vol. 15, Macy Nulman (edit), (New York: Yeshiva University, 1992) pp. 26; pp. 29-30

<https://pub-118b5aaf6ae949ac8f59a93faec8a3da.r2.dev/1992/1053/730014.pdf>

„წინასწარმეტყველთა წიგნიდან ნაწყვეტის წაკითხვას მოსდევს ოთხი კურთხევა. ეს კურთხევანი აგებულია ებრაული ლოცვის არსის შესაბამისად: განდიდება - თხოვნა-სამადლობელი. პირველი კურთხევა მადლობით მოსავს უზენაესს, რამეთუ მის მიერ ნაბოძები სიტყვა ხორციელდება წინასწარმეტყველთაგან. მეორე და მესამე კურთხევა - ეს თხოვნაა გარდახვეწილთა შემოკრებაზე, დავითის ტახტის აღდგენაზე. მეოთხე კურთხევა სამადლობელია, რომელიც ეძღვნება შაბათისა და დღესასწაულთა ბოძებას“.²⁴

შალომ დავიდის „ჰაფტაროთში“ წარმოდგენილია საწინასწარმეტყველო ნაწყვეტები წინასწარმეტყველთა შესაბამისი წიგნებიდან.²⁵ ავტორის განმარტებით, „რაბინებმა საჭიროდ მიიჩნიეს, შემოენახათ კითხვის ტრადიცია წინასწარმეტყველთა წიგნიდან, რამეთუ ის აძლიერებს თორის აღქმას და იძლევა ღრმა გააზრების შესაძლებლობას იმ დამოძღვრისა, რომელსაც მისი ტექსტები შეიცავს; აგრეთვე თორის შინაარსს მიუსადაგებს მიმდინარე დროს და წარმოსახავს მომავალს, ვით სამყაროს შესწორებას, ჰარმონიისაკენ სწრაფვას, სასოებით რომ აღავსებს ადამიანის არსსა და რაობას“.²⁶ თორის პირველადობისა და უფრო მაღალი სტატუსის ხაზგასასმელად „ჰაფტაროთის“ კითხვისას დაცულია შემდეგი თანმიმდევრობა: თორის კითხვის შემდეგ კითხულობენ ნახევარ კადიმს (ზენაარის განსაღილებელი ლოცვა), რომელიც გამოყოფს თორის კითხვას „ჰაფტაროთის“ კითხვისგან.

შალომ დავიდის „ჰაფტაროთს“ განსაკუთრებულ ხიბლსა და დატვირთვას სძენს ავტორის ინფორმაცია წინასწარმეტყველებსა და წინასწარმეტყველურ ლიტერატურაზე... მისი აზრით, თანახისეულ ლიტერატურაში, თვით ბიბლიურ წყაროებზე დაყრდნობით, გამოიყოფა წინასწარმეტყველური ლიტერატურა, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქას. „...თანახში მოცემულ სხვა ქმნილებათაგან განსხვავებით, ეს ლიტერატურა არ არის ანონიმური. მისი შემოქმედნი არიან ის ისტორიული პიროვნებანი, რომელთა სახელები და ქმედებანი მოხსენიებულია მატეანესა და ქრონიკებში. წინასწარმეტყველთა მოღვაწეობამ, შემოქმედებამ, უდიდესი გავლენა მოახდინა თავისი დროის სასულიერო ცხოვრებაზე და ღრმა დადი დაასვა შემდგომ ეპოქათა კულტურას. მაგრამ წინასწარმეტყველთა მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი ითამაშეს მათ თავიანთი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში“. შალომ დავიდი წინასწარმეტყველებს ორ კატეგორიად ყოფს - „წინასწარმეტყველთა თანამეგობრობა“ ელიაჰუსა და ელიმას სახით (ძვ. წ. მე-9 საუკუნე), რომელთა ქადაგებამ ჩვენამდე არ მოაღწია და „სამწერლო წინასწარმეტყველება“, წარმოდგენილი ამოსი, იეშაია და ირმეიაჰუ, რომელთა ნააზრევი წარმოდგენილია დიდი ღირებულების მქონე ქადაგების კრებულებით. ავტორი მოკლედ აანალიზებს ზემოჩამოთვლილი პირების წინასწარმეტყველურ მოღვაწეობას და უყოყმანოდ ასკვნის: „...წინასწარ-

²⁴ შალომ დავიდი, ჰაფტაროთ, ჰაფტარას განმარტება, I.

²⁵ ლალი გულედანი, ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი რელიგიური ლიტერატურა - შალომ დავიდის „ჰაფტაროთ/הפטרות“, მწერლის, ებრაული ფილოსოფიის მკვლევრისა და მთარგმნელის, შალომ დავიდისადმი მიძღვნილი ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, გვ.27, 10-11 სექტემბერი, 2025.

²⁶ შალომ დავიდი, ჰაფტაროთ, წინასწარმეტყველური ლიტერატურა, III.

მეტყველური ლიტერატურა თავისი მრწამსით, სიცოცხლისუნარიანობით, დინამიზმით, ეფუძნება თორის ხუთწიგნეულის აზრობრივი ჭრეტის არსსა და რაობას... ნებისმიერი წინასწარმეტყველება უნდა შეესაბამებოდეს თორის კანონებს. თუ თორას ეწინააღმდეგება წინასწარმეტყველი, მაშინ ის ცრუ წინასწარმეტყველთა კატეგორიას განეკუთვნება. წინასწარმეტყველთა მოძღვრება შეიცავს ღვთაებრიობის ახალ განმარტებას, ადამიანური არსის ახალ გააზრებას და რწმენის ახალ ინტერპრეტაციას... წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყები რელიგიისა და მორალის განუყოფლობა - ეს ებრაული კონცეფციის გარდაუვალი დასკვნაა ღმერთზე... ძირითად ეთიკურ პრინციპთაგან წინასწარმეტყველები განსაკუთრებით გამოყოფდნენ სამართლიანობის ფუძემდებლურ პრინციპს. სამართლიანობას ისინი მიიჩნევდნენ სამყაროს უზენაეს კანონად და თვით ღმერთის მნიშვნელოვან ატრიბუტად... ებრაულ-წინასწარმეტყველური მოძღვრება კი იუწყება, რომ ღვთაებრივი სამართლიანობა ემყარება ამ სხვაობის (სიკეთე ყოველთვის სიკეთეა, ბოროტება - მუდამ ბოროტება) საყოველთაო აღიარებას...“²⁷ და ა.შ.

ქართული და ებრაული ენების უზადო მცოდნისა და ებრაულ-ქართულ ენებზე თარგმნის დიდი გამოცდილების მქონე შალომ დავიდის მიერ გამოცემული ქართულენოვანი „ჰაფტაროთი“ არ არის მხოლოდ რთული რელიგიური საკითხის თეოლოგიური თვალსაზრისით განმარტებისა და შესწავლის სახელმძღვანელო, იგი თამამად შეიძლება ჩაითვალოს მხატვრულ თარგმანად, სადაც აზრის სრულყოფილად გადმოცემისას უხვად არის გამოყენებული ქართული ენისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხები და მდიდარი ლექსიკა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის რელიგიური ტექსტების ძირითადი დანიშნულება აზრის ზუსტად და სწორად გადმოცემაა, ვინაიდან ტექსტი იქმნება რელიგიური ტრადიციის განმარტებისა და ღრმად გააზრების მიზნით და ემსახურება მრევლის პრაქტიკული რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ცნობილია, რომ თალმუდური წყაროების თანახმად (მეგ. 4:4; 21ბ), საჯარო კითხვის დროს „ჰაფტარა“, ისევე როგორც ყოველკვირეული თორის ნაწილი, ითარგმნებოდა თითოეული ებრაული თემის რეგიონის სალაპარაკო ენაზე, მაგრამ არ იყო სავალდებულო, რომ ჰაფტარას თარგმანი ასეთივე ზუსტი ყოფილიყო და არ იყო აკრძალული ამ თარგმანის მინიმუმამდე შემცირება, რათა დამსწრეთა დატვირთვა არ მომხდარიყო.²⁸ შალომ დავიდის თარგმანის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ იგი ზუსტად მისდევს დედნის ტექსტს და არ წარმოადგენს შემოკლებულ ვარიანტს.

ამრიგად, „ჰაფტაროთთან“ დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი ზოგადი მსჯელობით გამოიკვეთა რა მისი დიდი მნიშვნელობა ებრაულ რელიგიურ კულტურაში, კიდევ უფრო ნათელი გახდა ის დიდი დატვირთვა, რასაც იძენს ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი ანალოგიური ხასიათის კრებულის არსებობა. შალომ დავიდის „ჰაფტაროთ“ ებრაული თეოლოგიური საკითხების ღრმად გააზრების შედეგად შედგენილი კრებულია, ქართველი ებრაელებისთვის ძალიან საჭირო გამოცემა, რომელიც ინფორმაციას იძლევა ბიბლიის წინასწარმეტყველურ ნაწყვეტებზე, უმარტივეს ქართველ ებრაელთა თემის

²⁷ შალომ დავიდი, ჰაფტაროთ, წინასწარმეტყველური ლიტერატურა, III.

²⁸ КЕЭ, т.9, стр.725

წარმომადგენლებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიური ტრადიციის სწორად გააზრებას და მასთან დაკავშირებული წესების პრაქტიკულად განხორციელებას.

ბიბლიოგრაფია - Bibliography

1. გულედანი, ლალი. „ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი რელიგიური ლიტერატურა - შალომ დავიდის „ჰაფტაროთ/תוספי“, მწერლის, ებრაული ფილოსოფიის მკვლევრისა და მთარგმნელის შალომ დავიდისადმი მიძღვნილი ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თსუ, 10-11 სექტემბერი, (2025): 27-31.
2. კიკნაძე, ზურაბ. ბიბლიის შესავალი, სალექციო კურსი, თბილისი, 2005
3. ჰაფტაროთ. მთარგმნელი და რედაქტორი შალომ დავიდი, ხოლონი, 2003
4. Golden, W. Richard. *Haftara and his Parsha*, Jonah Press: New-York, 2022.
5. Davidson, S. Baruch (Rabbi). *When and Why We Started Reading the Haftarah?* https://www.chabad.org/library/article_cdo/aid/593314/jewish/When-and-Why-We-Started-Reading-the-Haftarah
6. Fishbein, Michael. *Bible Commentary: Haftarat*. Philadelphia: Jewish Publication Society, 2002. ISBN 0-8276-0691-5
7. Nulman, Macy. *The Liturgical and Musical Development and Significance of the Haftarah*, Journal of Jewish Music & Liturgy, vol. 15, Macy Nulman (edit), New York: Yeshiva University (1992): 22-33
<https://pub-118b5aaf6ae949ac8f59a93faec8a3da.r2.dev/1992/1053/730014.pdf>
8. Rabinowitz, Louis. *Haftarah*. Michael Berenbaum, Fred Skolnik (eds.), Encyclopaedia Judaica, Vol. 8 (2nd ed.), Detroit: Macmillan Reference, 2007. ISBN 978-0-02-8660097-4.
[https://www.jevzajcg.me/enciklopedia/Encyclopaedia%20Judaica,%20v.%2008%20\(Gos-Hep\).pdf](https://www.jevzajcg.me/enciklopedia/Encyclopaedia%20Judaica,%20v.%2008%20(Gos-Hep).pdf)
9. Schwartz, B. Matthew. *Torah Reading in the Ancient Synagogue*, (Ph.D. diss.), Michigan: Wayne University, 1975.
10. Краткая Еврейская Энциклопедия (КЕЭ). Главные редакторы: Ицхак Орен (Надель), Нафтали Прат, Главный научный консультант проф. Михаэл Занд, том. 9; Иерусалим: Еврейский Университет в Иерусалиме, 1999.
11. Краткая Еврейская Энциклопедия (КЕЭ). Главные редакторы: Ицхак Орен (Надель), Нафтали Прат, консультанты проф. Хаим Вуйнарт, проф. Михаэл Занд, том. 6; Иерусалим: Еврейский Университет в Иерусалиме, 1992.

ინტერნეტ-რესურსები-Web Resources

(წარმოდგენილია სტატიაში დამოწმებული თანმიმდევრობით)

12. https://www.torah-box.net/jewish-ethics-and-learning/torah-learning/the-haftara-who-when-how_1189.html
13. <https://jewishaction.com/religion/shabbat-holidays/haftarah-familiar-practices-unfamiliar-reasons/>

14. https://www.chabad.org/library/article_cdo/aid/6430377/jewish/What-Is-the-Haftarah.htm#:~:text=By%20Mendel%20Adelman,How%20Is%20the%20Haftarah%20Read
15. <https://www.myjewishlearning.com/article/haftarah/>
16. <https://haftarahparsha.com/2023/02/ancient-connections-the-link-between-parshot-and-haphtarot/>
17. <https://www.jewishvirtuallibrary.org/haftarah>
18. <https://eleven.co.il/judaism/liturgy-prayer/13147/>
19. <https://eleven.co.il/judaism/liturgy-prayer/11081/>